

## მეცნიერება მცენარეთა შესახებ

### ეთერზეთოვანი მცენარეები ხვამლისა და ნაქერალას ქედების ფლორაში

ნინო ძოჭინიძე

nino.dzotsenidze@atsu.edu.ge

აკაკი წერტლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.07>

სისტემატიკურად იქნა შესწავლილი ნაქერალას და ხვამლის ქედების ფლორა-ში გავრცელებული ეთეროვანი ზეთების შემცველი მცენარეები. ეთერზეთების შემცველ მცენარეებს ოდითგანვე დიდი გამოყენება ჰქონდათ მედიცინასა და პარ-ფიუმერიაში, როგორც ძვირფასს ნედლეულს ანტივირუსული, ანტიბაქტერიუ-ლი, სპაზმოლიტური, ჰიპოტენზიური, სეკრეციის გამაძლიერებელი პრეპარატე-ბის მისაღებად. საკვლევ რაიონში აღმოჩნდა ეთერზეთების შემცველი 42 სახეობა, რომლებიც მიეკუთვნებიან 19 ბოტანიკურ ოჯახსა და 39 გვარს. დომინანტი ოჯა-ხებია: *Labiatae* (9 სახეობით) და *Cruciferae* (5 სახეობით), 21 სახეობა ბალახოვანია, 7-ბუჩქოვანი, 3-ხემცენარეა. კავკასიის ენდემია ერთი სახეობა-*Valeriana tiliaefolia*. თავად საკვლევი ტერიტორია, მიეკუთვნება კოლხეთის ბოტანიკურ-გეოგრაფი-ულ პროვინციას, ხვამლისა და ნაქერალას ქედები გაერთიანებულია დასავლეთ ამიერკავკასიის კირქვიანების ტყისა და ალპურ ქვეპროვინციებში. ნაქერალას ქე-დი გამოყოფილია ცალკე დამოუკიდებელ ქვერაიონად რაჭის კირქვიანი ქედისა და ლეჩეუმის რაიონის ფარგლებში. ეს უკანასკნელი მოიცავს: 1. ლეჩეუმ-რაჭის დაბალმთიან ქვერაიონი 2. ნაქერალას ქვერაიონი 3. საწალიკე-ხიხათა-ლეკნარის ქვერაიონი 4. შემერის ქვერაიონი. ნაქერალას ქვერაიონში ავტორები აერთიანებენ ნაქერალას ქედს, თავშავას მასივს, შაორის ქვაბულს. ჩვენს საკვლევ ტერიტორი-აში შედის: რაჭის ქედის დასავლეთი ნაწილი, კერძოდ: თავშავა, ნაქერალა, საწა-ლიკე, წმინდა გიორგი.

**საკვანძო სიტყვები:** ნაქერალა, ხვამლი, მცენარეულობა, ეთერზეთი, სახეობა.

საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება კოლხეთის ბოტანიკურ-გეოგრა-ფიულ პროვინციას, ა. კოლაკოვსკის მიხედვით (Колаковский 1958:177-181; 1961: 310-400) ხვამლისა და ნაქერალას ქედები გაერთიანებულია და-სავლეთ ამიერკავკასიის კირქვიანების ტყისა და ალპურ ქვეპროვინციებ-ში. ე. სოხაძე (სოხაძე 1969:30-75) მათ აერთიანებს კოლხეთის პროვინციის ჩრდილოეთ კოლხეთის მთის ქვეპროვინციის კირქვიანების ოლქში. რ. გაგნიძე (გაგნიძე 1996:105-220) ნაქერალასა და ხვამლის მასივებს იხილავს

## 6. ძოწენის

კოლხეთის პროვინციის დასავლეთ ამიერკავკასიის კირქვიანების ქვეპროვინციის რაჭა-ლეჩხუმის ოლქში. მორფოლოგიურად ხვამლის ზედაპირი კასტრულ ეროზიული პროცესებით დანაწევრებულ პლატოს წარმოადგენს. მისი ტოპოზედაპირის სახეს განსაზღვრავს ძაბრების, ჭებისა და ქვეშ გამდინარე წყაროს წყლების კომპლექსი, რომელთა სიღრმე მეტწილად 40-50 მეტრია, ხოლო სიგრძე რამდენიმე ათეული მეტრი. დასახელებული კარსტული წარმონაქმნები ხვამლს აძლევენ ტალღოვანდაცხრილული ზედაპირის სახეს. წკვარამებსა და უვალებს შორის არსებული წყალგამყოფები ამოზნექილი თხემებით ხასიათდება და ბრტყელ ზედაპირებს თითქმის მოკლებულია. 1700 მეტრის სიმაღლეზე არის „ბოგა-საყინულე“, რომელშიც ზამთარში ჩახვეტილი თოვლი მთელი ზაფხულის განმავლობაში რჩება, აյ ტემპერატურა ნულ გრადუსზე დაბალია, შიგ ყინულის ლოლოები და ზოდებია. ხვამლის დასავლეთი მხარე ორსაფეხურიანი ციცაბო კლდეებისაგან შედგება, ეს მხარე მიუვალია, აქვს მხოლოდ ერთი შემოსასვლელი, რომელიც პირველი საფეხურის ძირას იწყება, საფეხურები თანდათან მაღლდება დასავლეთის მიმართულებით. დაბალი ჩრდილო ანუ ზედაცარცული კუესტა უფრო სუსტად არის დაკარსტული. ნაქერალას კირქვიანი ქედი ცალკე ბოტანიკურ გეოგრაფიულ რაიონად არის გამოყოფილი-ნაქერალას რაიონის სახელწოდებით (Колаковский 1958: 177-181). რ. გაგნიძის, ლ. კემულარია-ნათამის მიხედვით (გაგნიძე, კემულარია-ნათამის 1986: 140-148) ნაქერალას ქედი გამოყოფილია ცალკე დამოუკიდებელ ქვერაიონად რაჭის კირქვიანი ქედისა და ლეჩხუმის რაიონის ფარგლებში. ეს უკანასკნელი მოიცავს: 1. ლეჩხუმ-რაჭის დაბალმთიან ქვერაიონი, 2. ნაქერალას ქვერაიონი 3. საწალიკე-ხიხათა-ლეკნარის ქვერაიონი 4. შქმერის ქვერაიონი. ნაქერალას ქვერაიონში ავტორები აერთიანებენ ნაქერალას ქედს, თავშავას მასივს, შაორის ქვაბულს. ჩვენს საკვლევ ტერიტორიაში შედის: რაჭის ქედის დასავლეთი ნაწილი, კერძოდ: თავშავა, ნაქერალა, საწალიკე, წმინდა გიორგი.

კლიმატური რეჟიმი ხვამლის კირქვიანი მასივის ზემო სარტყლისათვის თავისებურია, რაც დაკავშირებულია ტენის კონდენსაციასთან, რომელიც მოტანილია შავი ზღვიდან სამხრეთ დასავლეთის ქარებით. ამით აიხსნება აյ ხშირი სქელი ნისლი. ხვამლის მცენარეულობა წარმოდგენილია შემდეგნაირად: მასივი ძირიდან 1000მ სიმაღლეზე დაფარულია მეორადი ტყით, ხშირად ბუჩქნარებით. ტყის ძირითადი შემადგენელი სახეობებია: *Quercus pontica*, *Carpinus caucasica*, *Carpinus orientalis*, *Acer trautvetteri*, *Corylus avellana*, *Crataegus pentagona*, *Rubus caucasicus*, *Lonicera caprifolia*, *Staphylera colchica*. სამხრეთ ფერდობებზე ადგილ-ადგილ გვხვდება მუხის ტყეები წიფლის მონაწილეობით. ზღვის დონიდან 1000მ-ის ზემოთ გვხვდება *Fagus orientalis*, რომლის როლი სიმაღლესთან დაკავშირებით

## პაკი ცერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოაშვე, 2024, №1(23)

თანდათანობით იზრდება. ნაძვი და სოჭი ტყის შემადგენლობაში გვხვდება დაახლოებით ზღვის დონიდან 1300 მეტრიდან, ხოლო 1400-1500 მეტრზე ისინი ქმნიან მაღალღეროვან წიფლნარ-მუქწიწვოვან ტყეებს. ზღვის დონიდან 1500 მეტრამდე ტყეში სჭარბობს *Fagus orientalis*, *Carpinus caucasica*, *Picea orientalis*, *Abies nordmanniana*, *Ulmus elliptica* ქვეტყისათვის დამხასიათებელია: *Corylus avellana*, *Daphne glomerata*, *Laurocerasus officinalis*, *Ilex colchica*, *Rubus caucasicus*, ამ სარტყელში გვიმრებიდან ცოტაა- *Pteridium tauricum* და *Dryopteris filix-mas*, არ არის *Castanea sativa*, *Rhododendron Ponticus*. ზ. დ. 1500 მეტრიდან ტყეები ღებულობენ უფრო მეზოფილურ ხასიათს, მერქნიანი მცენარეებიდან აյ ჭარბობს წიფელი, ნაძვი, ნაკლებად მონაწილეობს *Pinus sylvestris*, *Ulmus elliptica*, *Tilia begoniifolia*. გამეჩხრებულ ტყეებში გვხვდება: *Ilex colchica*, *Fragaria alnus*, *Laurocerasus officinalis*. აღმონაცენთა ფანჯრებში დამახასიათებელია: გვიმრები და *Paeonia wittmanniana*. გვიმრები ამ სარტყელში მეტია, ვიდრე ქვედაში. ტყის ზემო საზღვარი მასივის ამ ნაწილში მდებარეობს 1600-1700 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. აქ ტყეები იქმნება გამეჩხრებული წიფლისაგან, ნაძვებისაგან, ფიჭვებისა და მაღალმთის ნეკერჩხლისაგან. ქვეტყეში გვხვდება *Frangula alnus*, *Ribes nigrum* და *Daphne glomerata*. ალაგ-ალაგ *Taxus baccata* და *Juniperus depressa*. ტყის ზემოთ მდებარე მცენარეულობა რიგ შემთხვევაში შემორჩენილია ტყის ცალკეული მონაკვეთებით, რაც წარმოდგენილია ბუჩქებით, მდელოს მეორადი მაღალბალახეულობით. სუბალპურ სარტყელში გავრცელებულია თავისებური კლდის მცენარეები. ტყის ცალკეული მონაკვეთები აქ შემორჩენილია ციცაბო და კლდოვან ადგილებზე 1800-1900მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ამ ტყის მერქნიანი მცენარეების შემადგენლობაში შედის: *Fagus orientalis*, *Pinus sylvestris* და *Picea orientalis*. ნაკლებად გვხვდება *Betula litvinowii* და *Acer trautvetteri*, ბუჩქებიდან უმეტესად წარმოდგენილია: *Daphne avelana*, *Laurocerasus officinalis*, *Frangula alnus* და *Vaccinium myrtillus*. ნაკლებადაა: *Caprifolia lonicera*, *Juniperus oblonga*, *Corylus avelana*, *Crataegus pentagona* (საქართველოს ფლორა 1971-1987).

ხვამლისა და ნაქერალას ქედების ტყის კომპლექსებს ქმნის 236 სახეობა, რომელიც გართიანებულია 154 გვარში, მდელოს კომპლექსებს ქმნის 181 სახეობა, კლდეებისა და ნაშალღორღიანების ფლორის კომპლექსება 79 სახეობა, მაღალბალახეულის კომპლექსებში შედის 16 სახეობა, რუდერალურ ადგილებში გავრცელებულია 18 სახეობა (ქუთათელაძე 1962: 33-36).

ნაქერალასა და ხვამლის ქედების ფლორიდან შესწავლილი იქნა ეთერზეთოვანი მცენარეები, რომლებიც მიეკუთვნებიან 19 ბოტანიკურ ოჯახს და 42 სახეობას.

ეთერზეთების შემცველ მცენარეებს უძველესი დროიდან ფართო გამო-

## 6. ძონენიძე

ყენება აქვთ მედიცინაში. მათგან იღებენ ეფექტურ პრეპარატებს, რომლებსაც ახასიათებთ: სპაზმოლიტური, ჰიპოტენზიური, ამოსახველებელი, ანტიბაქტერიული და ანტივირუსული აქტივობა. მათ ასევე წარმატებით იყენებენ კოსმეტიკურ და პარფიუმერულ წარმოებაში. მათი გამოყენების შედეგად ჩამოყალიბდა მეცნიერება-არომათერაპია. ეთერზეთებს მხოლოდ უმაღლესი მცენარეები გამოიმუშავებენ. ეთერზეთებით განსაკუთრებით მდიდარია: ტუჩოსანთა, რთულყვავილოვანთა, ვარდისებრთა, ფიჭვისებრთა, დაფნისებრთა, ირისისებრთა ოჯახები. უფრო მეტია სუბტროპიკულ და ტროპიკულ ფლორაში. ეთერზეთები გროვდებიან მცენარის ყველა ორგანოში, უმეტესად კი-ნაყოფებში, ფოთლებსა და ფესურებში (ერისთავი 2012: 185-201).

კვლევის შედეგად დაგენილ იქნა, რომ საკვლევ რაიონში ეთერზეთოვანი მცენარეების შემდეგი ოჯახები გამოირჩევიან: Labiateae 9სახეობით და Cruciferae- 5 სახეობით. სახეობრივად კი ასე განაწილდა შესწავლილი მცენარეები:

ოჯახი-Anacardiaceae

*Cotinus coggygria* Scop. (Burv.) Greerinck -ფითრი

ოჯახი-Boraginaceae

*Cynoglossum officinale* L. Brot.-ძაღლის ენა

ოჯახი-Caprifoliaceae

*Lonicera caprifolium* L.-ცხრატყავა

ოჯახი-Compositae

*Achillea millefolium* L. - ფარსმანდუკი

*Erigeron Canadensis* L. Brot.-ცხენის კუდა

*Inula helenium* L. Hook. f. & Thomson. -კულმუხო

ოჯახი-Corylaceae

*Carpinus caucasica* Grossh. -კავკასიური რცხილა

*Corylus avellana* L.- ჩვ. თხილი

ოჯახი-Cruciferae

*Alliaria petiolata* (M. Bieb) Cavara & Grande- ნივრის დედა

*Capsella bursa pastoris* Medik.- წიწმატურა

*Apodium ruderale* L. -წიწმატი

*Sisimbrium officinale*(L.) Scop.-გონგოლა

*Thlaspi arvense*L.- ქუთქუთა

ოჯახი-Ericaceae

*Rhododendron luteum* Sweet.- იელი

*Rhododendron caucasicum*Pall.- დეკა

ოჯახი-Gentianaceae

*Gentiana cruciata* L. -ნაღველა

აპაკი წერვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, 2024, №1(23)

---

ოჯახი-Hypericaceae

*Hypericum perforatum*L.-კრაზანა

ოჯახი-Labiatae

*Ajuga chia schreb.*-პირწმინდა

*Calamintha menthaefolia*Host-მთის პიტნა

*Glechoma hederacea* L.-ოშოშა

*Mentha longifolia* (L.) Huds.-ტყის პიტნა

*Mentha pulegium* L.-ომბალო

*Nepeta grandifolia* Lapeyr.-კატაპიტნა

*Origanum vulgare* L.-თავშავა

*Salvia glutinosa* L.-შალამანდილი

*Salvia verticillata* L.-დაჯირა

ოჯახი- leguminosae

*Coronilla varia* L. -ყვავის ფრჩხილა

*Melilotus officinalis* (L.) Pall.-ყვითელი ძიძო

*Trifolium pratense* L.-წითელი სამყურა

ოჯახი-Oleaceae

*Fraxinus excelsior* L.-ჩვეულებრივი იფანი

*Ligustrum vulgare* L.-ჩვ. კვიდო

ოჯახი-Ranunculaceae

*Clematis vitalba* L.-კატაბარდა

*Ranunculus bulbosus* L.-ბაია

ოჯახი-Solanaceae

*Datura stramonium* L.-ღემა

ოჯახი-Tiliaceae

*Tilia begoniifolia* Chun & Wong-ბეგონიასფოთოლა ცაცხვი

ოჯახი- Umbelliferae

*Anthriscus nemorosa* Baker& S. Moore-ღრინჭოლა

*Conium maculatum*L.-კონიო

*Daucus carota* L.-ფერისცვალა

*Laser trilobum*Borkh. ex Gaertn.-ტყიურა

ოჯახი-Valerianaceae

*Valeriana colchica* Utkin. -კოლხური კატაბალახა

ოჯახი-Verbenaceae

*Verbena officinalis* L.-ცოცხანა

ოჯახი-Violaceae

*Viola odorata* L.-სურნელოვანი ია

განხილული ეთერზეთოვანი მცენარეებიდან ერთი ან ორწლოვანია 11

## 6. ძოწენის

სახეობა; მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 21 სახეობა; ბუჩქია 7 სახეობა; ხე მცენარე კი-3 სახეობა.

აღნიშნული მცენარეები მიეკუთვნებიან შემდეგ გეოგრაფიულ ტიპებს: ჰოლარქტიკულს-9 სახეობა; ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურს-8 სახეობა; პალეარქტიკულს-7; პანკონტინენტურს-5; ევროპულს-4; ხმელთაშუაზღვეთურს-3; კავკასიურს-2; დანარჩენი გეოგრაფიული ტიპები: ევროპულ-კავკასიურ მცირაზიური, კავკასიურ-მცირეაზიური, კავკასიურ-წინააზიური წარმოდგენილია თითო სახეობით. ერთი სახეობა-*Valeriana colchica* კავკასიის ენდემია (გაგნიძე 1996: 85-105).

ამ ეთერზეთოვანი მცენარეებიდან 13 სახეობას დიდი გამოყენება აქვს მედიცინაში.

სახეობა	ნედლეული
<i>Achillea millefolium</i> ფარსმანდუკი	ბალახი
<i>Clematis vitalba</i> კატაბარდა	ბალახი
<i>Cotinus coggygria</i> თრიმლი	ფოთლები
<i>Fraxinus excelsior</i> იფანი	ფოთლები
<i>Gentiana cruciata</i> ნაღველა	ფესურა, ფესვები
<i>Hypericum perforatum</i> კრაზანა	ღერო, ფოთლები, ყვავილი
<i>Mentha pulegium</i> პიტნა	ფოთლები
<i>Nepeta grandiflora</i> კატაპიტნა	მიწისზედა ნაწილი
<i>Inula helenium</i> კულმუხო	ფესვი, ფესურა
<i>Salvia glutinosa</i> შალამანდილი	ფოთლები
<i>Tilia begoniifolia</i> ცაცხვი	ყვავილედი, ფოთლები
<i>Melilotus officinalis</i> ყვითელი ძიძო	ბალახი
<i>Valeriana colchica</i> კატაბალახა	ფესვი, ფესურა

ჩატარებული კვლევა მნიშვნელოვანია დასავლეთ საქართველოს ფიტო-ცენოზთა სისტემატიკის, ეკოლოგიის, ბიომრავალფეროვნების შესწავლი-სათვის. მასალა დამუშავდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის ბოტანიკის კაბინეტში და ინახება ამავე უნივერსიტეტის ჰერბარიუმის განყოფილებაში.

### ლიტერატურა

- გაგნიძე, რევაზ, დავითაძე მურმან. 2000. ადგილობრივი ფლორა. ბათუმი.
- გაგნიძე, რევაზ. 1996. მცენარეთა გეოგრაფია. თბილისი.
- გაგნიძე, რევაზ. 2005. საქართველოს ფლორის კონსპექტი. ნომენკლატურული ნუსხა. თბილისი.
- ერისთავი, ლინა. 2012. სამკურნალო მცენარეები. თბილისი.
- საქართველოს ფლორა. 1971-1987. III-IX ტ. თბილისი.
- სოხაძე, ელენე. 1969. საქართველოს კირქვიანი მთების ბოტანიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა. თბილისი.
- ქუთათელაძე, ალექსანდრე. 1962. „საქართველოს ენდემები იმერეთის კირქვიანების ფლორაში“. საქ. ბოტ. საზ. „მოამბე“. თბილისი.
- Гагнайдзе, Р.И., Кемулариа-Натадзе, Л.М. 1985. Ботаническая география флора Рача-Лечхуми. Тбилиси.
- Колаковский, А.А. 1958. „Ботанико-географическое районирование Колхиды“, труды сухумского ботанического сада.
- Колаковский, А.А. 1961. Растительный мир Колхиды. Москва.

### Plant Science

#### Plants Containing Essential Oils in the Flora of Khvamli and NakeraRidges

Nino Dzotsenidze

nino.dzotsenidze@atsu.edu.ge  
Akaki Tsereteli State University  
Kutaisi, Georgia  
<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.07>

The plants containing essential oils were systematically studied in the flora of the Khvamli and Nakera ridges. Plants containing essential oils had been long used in medicine and perfume as precious raw materials for making antiviral, spasmolytic, hypotensive, and secretion-enhancing medications. In the study area, 42 species of aromatic plants were found belonging to 19 botanic families and 39 genera. Dominant families are as follows: Labiatae (with 9 species) and Cruciferae (with 5 species), 21 species

## 6. ძოწენის

---

are herbaceous, 7- bushy, 3- arboreal plants. One of the species is a Caucasian endemic – *Valeriana tiliaefolia*. The study area itself belongs to the botanical-geographical province of Kolkheti, the Khvamli and Nakerala ridges are united in the limestone forest and alpine sub provinces of Western Transcaucasia. The Nakerala Ridge is separated as a distinct, independent subregion within the borders of Racha limestone ridge and Lechkhumi district. The latter encompasses 1. Low-mountainous sub-district of Lechkhumi-Racha. 2. Nakerala sub-district 3. Satsalike-Khikhata-Leknari sub-district 4. Shkmeri sub-district. In the Nakerala sub-district, the authors combine Nakerala ridge, Tashava massif, and Shaori basin. Our research area includes the southwestern part of the Racha mountain range, in particular, Tavshava, Nakerala, Satsalike, and Saint George.

**Keywords :** Nakerala, Khvamli, plants, essential oils, species.

The research area belongs to the botanical-geographical province of Kolkheti. According to A. Kolakovsky Khvamli mountain is included in the limestone forest and alpine sub-provinces of Western Transcaucasia. E. Sokhadze includes it in the limestones district of the mountain sub-province of North Kolkheti in Kolkheti province. R. Gagnidze considers the Khvamli massif in Racha-Lechkhumi district of the West Transcaucasia limestone subprovince of the Kolkheti province. Morphologically, the surface of Khvamli is a plateau divided by karst erosion processes. Its topographic appearance is determined by the complex of funnels, wells and springs flowing underneath, the depth of which is mostly 40-50 m, and the length is several tens of meters. The mentioned karst formations give Khvamli a wave-shaped riddled surface. The watersheds between abysses and untrdden paths are characterized by convex ridges and are almost devoid of flat surfaces. At an altitude of 1700 meters there is a “foot-ridge ice cellar”, in which the snow shoveled in winter remains throughout the summer, the temperature here is below zero degrees, there are icicles and sticks inside. The western side of Khvamli consists of two-step steep rocks, this side is impassable, it has only one entrance, which starts at the bottom of the first step, the steps gradually rise in the west direction. The lower northern or upper cretaceous cuesta is less karstic. The climatic regime for the upper belt of the Khvamli limestone massif is peculiar, which is related to the condensation of moisture brought from the Black Sea by the southwest winds. This explains the frequent thick fog here.

The vegetation of Khvamli is represented as follows: the massif from the base to 1000 m. is covered with secondary forest, often with shrubs. The main constituent species of the forest are: *Quercus pontica*, *Carpinus caucasica*, *Carpinus orientalis*, *Acer trautvetteri*, *Corylus avellana*, *Crataegus pentagyna*, *Rubus caucasicus*, *Lonicera caprifolia*, *Staphylea colchica*. On the southern

slopes, there are oak forests with some beeches. Beech (*Fagus orientalis*) can be found above 1000m. above sea level, the role of which gradually increases with height. Spruce (*Picea orientalis*) and fir-tree (*Abies nordmanniana*) can be found in the forest from about 1300 meters above sea level, and at 1400-1500 meters they form high-stemmed beech-coniferous forests. *Fagus orientalis*, *Carpinus caucasica*, *Picea orientalis*, *Abies nordmanniana*, *Ulmus elliptica* prevail in the forest up to 1500 meters above sea level. *Corylus avellana*, *Daphne glomerata*, *Laurocerasus officinalis*, *Ilex colchica*, *Rubus caucasicus* are typical for sub-forest. Among the ferns in this belt there are *Pteridium tauricum* and *Dryopteris filix-mas*. There are no *Castanea sativa*, *Rhododendron ponticum*. From 1500 meters above sea level the forest takes on a more mesophilic character, *Fagus orientalis* (*Picea orientalis*) prevails among the woody plants here, *Pinus sylvestris*, *Ulmus elliptica*, *Tilia begoniifolia* are less involved. *Ilex colchica*, *Rhamnus imeretina*, *Laurocerasus officinalis* can be found in the sparse forests. Ferns and *Paeonia macrophylla* are typical in the windows of sprouts. There are more ferns in this belt than in the lower one. The upper border of the forest in this part of the massif is located at an altitude of 1600-1700 meters above sea level. Here the forests are represented by scarcity of beech (*Fagus orientalis*), spruce (*Picea orientalis*), pines (*Pinus spp.*) and mountain maple (*Acer trautvetteri*). *Rhamnus imeretina*, *Ribes nigrum* and *Daphne glomerata* can be found in the undergrowth mixed with *Taxus baccata* and *Juniperus depressa*. In the subalpine vegetation above the forest, in some cases separate sections of the forest are preserved, which are represented by bushes, secondary high herbage of the meadow. Peculiar rock plants are common in the subalpine belt. Separate sections of the forest are preserved here on steep and rocky places at an altitude of 1800-1900 m. above sea level. Here, the woody plants of the forest include: *Fagus orientalis*, *Pinus sylvestris* and *Picea orientalis*. *Betula litwinowii* and *Acer trautvetteri* are less common, and the most common shrubs are: *Daphne mezereum*, *Laurocerasus officinalis*, *Frangula alnus* and *Vaccinium myrtillus*. Less: *Juniperus oblonga*, *Corylus avellana*, *Crataegus pentagyna*.

The forest complexes of the Khvamli ridge are made up of 236 species, which are included in 154 genera, the meadow complexes are made up of 181 species, the flora complexes of rocks and sloughs are made up of 79 species, tall herbaceous complexes include 16 species, 18 species are found in ruderal areas.

Plants containing essential oils have been widely used in medicine since ancient times. Effective preparations are obtained from them, which are characterized by: spasmolytic, hypotensive, expectorant, antibacterial and antiviral activity. They were also successfully used in cosmetic and perfumery production. As a result of

## 6. ძოწენის

---

their use, the science of aromatherapy was formed. Only higher plants produce essential oils. The following are especially rich in essential oils: the families of the Labiate, Asteraceae, Pinaceae, Laurus, and Iridaceae families. They are more abundant in subtropical and tropical flora. Essential oils accumulate in all organs of the plant, mostly in fruits, leaves and stems. Among the studied aromatic plants, 11 species are annual or biennial; 21 species are perennial herbaceous plants; 7 species are shrubs; and 3 species are arboreal plants. The mentioned plants belong to the following geographical types: Holarctic – 9 species; European- Mediterranean – 8 species; Palearctic – 7; Pancontinental – 5; European -4; Mediterranean – 3; Caucasian – 2; Remaining geographical types: European-Caucasian-Asian Minor, Caucasian-Asian Minor, Caucasian-Pre-Asian are represented by one species each. One species - Valeriana colchica - is endemic to the Caucasus.

The studied plants were distributed in this way

*Cotinus coggygria* Scop. (Burv.) Greerinck ;*Cynoglossum officinale* L. Brot.;*Lonicera caprifolium* L.;*Achillea millefolium* L.; *Erigeron Canadensis* L. Brot. ;*Inula helenium* L. Hook. f. & Thomson.;*Carpinus caucasica* Grossh. ;*Corylus avellana* L.;*Alliaria petiolata* (M. Bieb) Cavara & Grande;*Capsella bursa pastoris* Medik.;*Apidium ruderale* L. ;*Sisymbrium officinale*(L.) Scop.;*Thlaspi arvense*L.;*Rhododendron luteum* Sweet.;*Rhododendron caucasicum*Pall.;*Gentiana cruciata* L. *Hypericum perforatum*L.;*Ajuga chia* schreb.;*Calamintha menthaefolia*Host.;*Glechoma hederacea* L.;*Mentha longifolia* (L.); Huds.;*Mentha pulegium* L. ;*Nepeta grandifolia* Lapeyr.;*Origanum vulgare* L *Salvia glutinosa* L.; *Salvia verticillata* L.;*Coronilla varia* L.; *Melilotus officinalis* (L.) ;Pall.*Trifolium pratense* L.;*Fraxinus excelsior* L.;*Ligustrum vulgare* L.; *Clematis vitalba* L.; *Ranunculus bulbosus* L.; *Datura stramonium* L.; *Tilia begoniifolia* Chun & Wong; *Anthriscus nemorosa* Baker& S. Moore; *Conium maculatum*L.; *Daucus carota* LLaser *trilobum*Borkh. ex Gaertn.; *Valeriana colchica* Utkin. *Verbena officinalis* L.; *Viola odorata* L.